ანა მარგებაძე

შრომის უსაფრთხოების სტანდარტი სამშენებლო სამართლებრივ ურთიერთობებში
(შედარებით სამართლებრივი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირის მაგალითზე)

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2008 წელი

საავტორო უფლება©2019წელი, [ანა მარგებაძე]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი [მარგებაძე ანას] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [შრომის უსაფრთხოების სტანდარტი სამშენებლო სამართლებრივ ურთიერთობებში (შედარებით სამართლებრივი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირის მაგალითზე)] და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლაშა ცერცვაძე

_____

თარიღი :

რეზიუმე

2018 წელს საქართველოში მიიღეს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა შრომის უსაფრთხოების სამართლებრივ ურთიერთობებში, კვლავ რჩება დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის დაურეგულირებული საკითხები.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით არჩეულ დასაქმებულ კანდიდატთა უფლებრივი მდგომარეობა.

მშენებლობის ტემპებისა და მაშტაბების ზრდას აქვს სოციალურად მნიშვნელოვანი, დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რომელიც დაკავშირებულია უბედური შემთხვევების, დაზიანებების მუდმივ ზრდასთან, რასაც ხშირად თან სდევს, როგორც ადამიანის დაღუპვა , ისე ადამიანის მძიმედ დაზიანება, ასევე მატერიალური ზარალი. ამ ყველაფრის მიზეზია გულგრილობა, დაუდევრობა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა და სხვა. დადებით ასპექტებში შესაძლოა მოვიაზროთ სამუშაო ადგილები, რომლებიც იზრდება მშენბლობების ზრდის ხარჯზე და ასევე ბიუჯეტში თანხის შედინება.

Abstract

In 2018 the labor safety law was adopted in Georgia In legal relations of the labor safety. Regular relationships remain unchanged, between the employer an the employee.

In the presented introducing work there is discusson the rights of the current employeed cdndidates with active legislation in Georgia.

The increasing of construction pace has social importance, it's an scale positive and negative aspects, which are connected about to accidents and constant increase of injuries which is often accompanied by a human's death as well as a severe human injury, also the material loss. This is the reason for negligence, violation of labor safety horms and other.

აბრევიატურა

გვ-გვერდი

იქ-იქვე

სსკ-სისხლის სამართლის კოდექსი

მაგ- მაგალითად

იხ-იხილეთ

ILO-Intrenational labour organization

შინაარსი

1.შესავალი 7
2. სამშენებლო სამართალი, როგორც სამართლის დარგი 10
2.1 ზოგადი მიმოხილვა 10
2.2 მოწესრიგების სფერო 11
3. შრომის უსაფრთხოების დაცვის უფლების განხორციელების საფუძვლები 12
3.1 კონსტიტუცია 12
3.1.1 შრომის კოდექსით გათვალისწინებული უსაფრთხო სამუშაო პირობები 12
3.2.2 საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ 13
3.2.2.1 კანონის მოქმედების სფერო 13
3.2.2.2 დასაქმებულის კანონით გათვალისწინებიული უფლება-მოვალეობები 14
3.2.2.3 დამსაქმებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები 15
3.2.2.4 სამუშაო სივრცეში სხვა პირთა უფლება მოვალეობები 17
3.2.2.5 უბედური შემთხვევის კლასიფიკაცია და დაზღვევა 18
4. შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი 27
5. უსაფრთხოება 34
5.1 სახანძრო და ევაკუაცის უსაფრთხოება 34
5.2 სამედიცინო უსაფრთხოება 41
5.3 მომეტებული საფრთხე 43
5.4 სიმაღლიდან ვარდნის დაცვის საშუალებები 43
6. სამშენებლო ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობა 46
6.1 გაფრთხილება 46
6.2 ჯარიმა 48
6.3 სამუშაო პროცესის შეჩერება 50
6.4 სისხლის სამართლის პასუხიმგებლობა 52
დასკვნა 57
გამოყენებული ლიტერატურა 59

შესავალი

დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯამთელობის უფლება, წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც ამავდროულად, გარანტირებულია, როგორც საქართველოს უზენაესი კანონით, საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სხვა არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით.[1]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში სამუშაო ადგილებზე ყოველ 15 წუთში ერთი ადამიანი იღუპება, ხოლო დღე-ღამეში ათასი ადამიანი.[2]

დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა შრომის პირობები და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე, საქართველოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა, რასაც ადასტურებს მუშათა საპროტესტო აქციები და შრომითი დავების რაოდენობა. მიუხედავად წინა წლებში განხორციელებული საკანონმდებლო თუ სტრუქტურული ცვლილებებისა, შრომითი უსაფრთხოება არ განიცდის გაუმჯობესებას.

ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს ამ მიმართულებით, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა გარდაცვალებასა და ფიზიკურ დაშავების საგანგაშო სტატისტიკა წარმოადგენს.[3] მშენებლობის სფერო, რომელიც პირველია სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე შეუსწავლელი დაარგია.[4]

საქართველოში 2006 წლიდან 2015 წლამდე არ არსებობდა შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ზედამხედველი სახელმწიფო ორგანო, რამაც ხელი შეუწყო შრომის უსაფრთხოების სტანდარტების მოშლას.

2018 წლის 7 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც თავდაპირველად მძიმე, მავნე და

---

[1]საქართველოს შრომის, ჯამთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-2017 წლების ანგარიში, გვ 3

[2]თ. ჟორდანია, ნ. რაზმაძე, დ. თევზაძე, შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე, თბილისი, 2014 წ

[3]ნ. მაჭავარიანი, ნ. ტაბიაშვილი, ლ. ყანჩაველი, მ. ჯიქია, შრომის უსაფრთხოება, თბილისი, 2010 წ
[4]www.wuropean.ge [01.05.2019]

საშიშპირობებიანი სამუშაოებით შემოიფარგლა, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ახალი რედაქციის პროექტს, რომლის მიხედვითაც შეიცვალა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის მანდატი.

შრომითი ურთიერთობების ეფექტური მოწესრიგება ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს, რადგან მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის და მოქალაქეთა განვითარებაზე.

საქართველოში დასაქმებულთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა წლების მანძილზე უცვლელ პრობლემად რჩება, მიუხედავად გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, როგორც სახელმწიფო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ახორციელებს.[5]

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით წარმოგიდგენთშედარებით ხასიათს გერმანიის შრომის უსაფრთხოებასთან.

სამშენებლო სამართალი ახალგაზრდა სამართლის დარგია, რომელიც მოითხოვს შესწავლას და ყურადღების გამახვილებას.

სამაგისტრო თემის შერჩევის მთავარი მოტივი განპირობებულია ბოლო წლებში მიმდინარე უბედური შემთხვევების მშენებლობებზე, რამაც შეიძლება ახლო მომავალში უფრო სერიოზული ზიანი მოუტანოს მოქალაქეებს და მთლიანად სახელმწიფოს.

ნაშრომის მიზანია, მოახდინოს სამშენებლო სამართლისა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების ზოგადი განსაზღვრება, ასევე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გააუმჯობესოს სპეციალისტთა მომზდება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შრომით რეგულირებას, საერთაშორისო აღიარებული სტანდარტების ეფექტურ დანერგვას.

ნაშრომი მოიცავს ოთხ კვლევის მეთოდს, ესენია: დესკრიფციული მეთოდი, ისტორიული მეთოდი, ანალიტიკური მეთოდი, სინთეზური მეთოდი.

---

[5]ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და 18 ქვეთავისგან. პირველ თავში წარმოდგენილია სამშენებლო სამართალი, როგორც სამართლის დარგი, მეორე თავში განხილულია შრომის უსაფრთხოების დაცვის უფლების განხორციელების საფუძვლები, მესამე თავი ეთმობა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორს, მეოთხე თავი ეთმობა უსაფრთხოებას, მეხუთე თავში წარმოდგენილია სამშენებლო ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობა.

2. სამშენებლო სამართალი, როგორც სამართლის დარგი

2.1 ზოგადი მიმოხილვა

სამშენებლო სამართლის ბუნების განსაზღვრისთვის, აუცილებელია დავადგინოთ სამშენებლო სამართლის რაობა და მისი მოწესრიგების სფერო, რათა არსობრივად ჩავწვდეთ სამშენებლო სამართალს.[6] სამშენებლო სამართალი ახალგაზრდა სამართლის დარგია, რომელიც მოითხოვს შესწავლას და ყურადღების გამახვილებას.

სამშენებლო სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც საჯარო ინტერესების გათვალისწინებით აწესრიგებს მიწის ნაკვეთის სამშენებლო მიზნით გამოყენების საკითხებს, კერძოდ შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასაშვებობას, შენობა-ნაგებობის აუცილებელ მახასიათებლებს.[7]

სამშენებლო სამართლის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვა განპირობებულია ასოცირების ხელშეკრულებით, რომლის მიზანია შრომის უსაფრთხოების სტანდარტი გათანაბრებული იყოს საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან.

აღნიშნული დარგი წინა წლებთან შედარებით განვითარებულია ამის მიზეზი არა მხოლოდ მშენებლობების სიხშირემ და ეკონომიკურმა ფაქტორმა გამოიწვია, არამედ საზოგადოების დიდმა ინტერესმა, რომელიც მუდამ აქტუალურია.

განსაკუთრებული საჯარო ინტერესი განპირობებულია, საზოგადოების უსაფრთხოებით, გარემოს დაცვის საქმიანობის ხელშეწყობით,[8] საზოგადოების ჯამთელობით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების უსაფრთხოებას და უფრო მკაცრად მიუდგეს აღნიშნულ დარგს.

---

[6]გეგენავა დ, სამართლის ჟურნალი, 2011, 27გვ

[7]ტურავა პ, სამშენებლო სამართლის ძირითადი ცნებები და ინსტიტუტები, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N2, 2009, 121გვ

[8]გეგენავა დ, სმართლის ჟურნალი, 2011, 27გვ

2.2 მოწესრიგების სფერო

სამშენებლო სამართლის თვითეულ ქვედარგს საკუთარი მოწესრიგების სფერო გაჩნია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს მათ მიერ დადგენილ წესთა განყენებულ, ქაოტურ არსებობას. მათ მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად ხორციელდება სამშენებლო სამართლის პრაქტიკული გამოყენება.[9]

სამშენებლო წესრიგის სამართალი აწესრიგებს სამშენებლო ობიექტის მიმართ არსებულ მოთხოვნებს,[10] ასევე არეგულირებს მშენებლობის ნებართვის გაცემის, მშენებლობაზე ზედამხედველობის, სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებასა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესებს.

[9]გეგენავა დ, სამართლის ჟურნალი, 2011, 28

[10]ტურავა პ, სამშენებლო სამართლის ძირითადი ცნებები და ინსტიტუტები, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N2, 2009, 123გვ

3. შრომის უსაფრთხოების დაცვის უფლების განხორციელების საფუძვლები

3.1 კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით განმტკიცებულია შრომის თავისუფლება და შრომის უსაფრთხო პირობები, რომელიც შრომის უფლების კომპონენციაა. აღნიშნული მუხლის მიხედვით შრომის თავისუფლება და შრომის უსაფრთხოება მოიცავს პროფესიის, საქმიანობის არჩევას და არჩეულ საქმიანობაში უსაფრთხო გარემოში მუშაობის უფლებას.

შრომის უსაფრთხოება მთლიანობაში, ადამიანის სოციალურ უფლებას განეკუთვნება. ყველა დასაქმებულს უფლება აქვს ჰქონდეს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები. სწორედ ამ ძირითადი უფლების ორგანული კანონით მოწესრიგებას ადგენს საქართველოს კონსტიტუცია[11].

3.1.1 შრომის კოდექსით გათვალისწინებული უსაფრთხო სამუშაო პირობები

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლი განმარტავს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლებას, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალებს დამსაქმებელს უსაფრთხო გარემო შეუქმნას დასაქმებულს მაინც არასაკმარისად დარეგულირებული რჩება ეს

[11]საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 2018, 26 მუხლი

საკითხი. აქედან გამომდინარე საჭიროა მოხდეს შრომის უსაფრთხოების უფრო ეფექტურიდაცვა და დარღვევებზე მყისიერი რეაგირება.

3.2.2 საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

3.2.2.1 კანონის მოქმედების სფერო

საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ პარლამენტმა მიიღო 2018 წლის 7 მარტს, მასში ცვლილებები შეტანილ იქნადა ამოქმედდა 2019 წლის 19 თებერვალს, თავდაპირველად „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი მოიცავდა მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა რეგულირების საკითხებს, ხოლო მასში ცვლილებების შესვლის შემდეგ კანონში შეიცვალა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის მანდატი.

კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნების და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, ასევე სამუშაო სივრცეში/ადგილებზე დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მაქსიმალურად დაცვა, პროფესიული დაავადებების დროული გამოვლენა, მათი პრევენცია და უბედური შემთხვევების თავიდან აცილება.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი მოქმედებს შრომის უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონი „ საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მოწესრიგებულ სამუშაოებზე. უნდა აღინიშნოს, რომ კანონში სანამ ცვლილებები შევიდოდა ყურადღება გამახვილებული იყო მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოზე, რომელსაც სჭირდებოდა დახვეწა, რათა უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო შრომის

უსაფრთხოების რეგულაციები, ასევე, სახალხო დამცველი თავის 2017 წლის ანგარიში განმარტავდა, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება გავრცელდებოდა საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე, რაც წინა კანონში დარეგულირებული არ იყო. ახალ კანონში ეს შეცვლილია და მოქმედების სფეროში მითითებულია, რომ შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი მოქმედებს საჯარო სექტორში დასაქმებულებზეც, რაც ნამდვილად სწორი და დროული ცვლილებაა.

3.2.2.2 დასაქმებულის კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები

საქართველოს შრომის კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით კანონმდებლობა დამსაქმებელს ავალდებულებს დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობების, მისი უფლებრივი მდგომარეობის, შრომის ანაზღაურების შესახებ, ასევე დამსაქმებელმა დასაქმებულს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების შესახებ.

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-10 მუხლი არგეულირებს დასაქმებულის უფლებებს, რომელშიც მოცემულია, რომ დასაქმებულმა დამსაქმებლიგან უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია საფრთხის შემცველი ფაქტორების შესახებ.

კანონმდებლობა იცავს დასაქმებულის უფლებებს და მუხლში ჩადებული აქვს მითითება იმის შესახებ, რომ თუ დასაქმებულის მოთხოვნა ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების ნორმებს მას შეუძლია დატოვოს სამუშო სივრცე, ასევე მიმართოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და ზედამხედველ ორგანოს.

დასაქმებული ვალდებულია, ასევე მუშაობის დაწყებამდე გაეცნოს და იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების გეგმით გაწერილი ნორმებით და სამუშოს დაწყებამდე შეამოწმოს დამცავი საშუალებების ყველა ნაწილი, მათი გაფუჭების ან დაზიანების შემთხვევაში აცნობოს ზედამხედველ ორგანოს, ასევე, აცნობოს ნებისმიერი ინციდენტის შესახებ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს.[12]

დასაქმებული უნდა დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დაწესებულ შრომის უსაფრთხოების ნორმებს, ასევე მისთვის სავალდებულოა დაესწროს ტრენინგებს შრომის უსაფრთხოების შესახებ, აღნიშნული ჩანაწერი გაკეთებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის ი-ქვეპუნქტში, ეს მითითება სავალდებულო ხასიათს ატარებს, მიუხედავად ამისა დასაქმებულთა უმრავლესობა მაინც არ არის ინფორმირებული შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ფაქტზე კარგი იქნება, თუ უფრო მკაცრი მიდგომა განხორციელდება დამსაქმებლის მიმართ, რომ შემცირდეს სამშენებლო ობიექტებზე უბედური შემთხვევების რაოდენობა, დამსაქმებელმა ჩაატაროს სწავლება და ტრენინგები დასაქმებულთათვის და არ ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს კანონში აღნიშნული ჩანაწერი, ასევე ზედამხედველი ორგანოების მიერ მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს შრომის უსაფრთხოება და პირველი დარღვევის შემთხვევაში კომპანიამ უნდა მიიღოს გაფრთხილება, ხოლო იგივე ქმედების განმეორებისთვისდაჯარიმდეს.

3.2.2.3 დამსაქმებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები

შრომის სამართალი არის კერძო სამართლის სპეციალური დარგი, რომლის რეგულირების საგანია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული ურთიერთობები. ეს ურთიერთობები წარმოიშობა, დამსაქმებლის მხრიდან

[12]მთავრობის დადგენილება, N477, მე-4 მუხლი

სამუშაოს შესრულებასა და დამსაქმებლის მიერ სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით.[13]

აღნიშნული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებით, სამოქალაქო კოდექსით, შრომის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით. შრომის კოდექსი მოქმედებს შრომით ურთიერთობებზე, თუ კონკრეტული ურთიერთობა არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით.

დამსაქმებლის მიერ შესრულებულ ურთიერთობებზე სრულად გასათვალისწინებულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები.

დამსაქმებელი ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმები და წესები, ასევე იზრუნოს დასაქმებულის და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯამრთელობას ზიანი არ მიადგეს.[14]

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი არეგულირებს, რომ დამსაქმებელმა უნდა აწარმოს უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაცია და დასაქმებულს ჩაუტაროს ტრენინგები სამუშაოს დაწყებამდე, ასევე შეამოწმოს ტექნიკური აღჭურვილობის გამართულობა, ახალი ტექნიკის შემოტანის შემთხვევაში დასაქმებულს აუხსნას მუშაობის სპეციფიკა და ისე დაიწყოს ახალი დანადგარით მუშაობა.

დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშო გარემოს შექმნა. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დასაქმებულს რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი ექნება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20 დან 100 მდე დასაქმებული ჰყავს იგი ვალდებულია არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ჰყავდეს,

---

[13]<www.blh.com.ge> [14/05/2019]

[14]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტები

ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის რიცხვის მატება, ხელს შეუწყობდა სამშენებლო ობიექტზე უსაფრთხოებას, რაც შეეხება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა რაოდენობას, როდესაც კომპანიას ჰყავს 20 დან 100 თანამშრომლამდე უნდა ჰყავდეს 2 შრომის უსაფრთხოების სპრციალისტი, ხოლო 100 ან მეტის შემთხვევაში ანარაკლებ 3 შრომის უსაფრთოების სპეციალისტი. მართალია ეს ბიზნესისთვის იქნება ზედმეტი ხარჯი, მაგრამშრომის უსაფრთხოების სტანდარტების იქნება დაცული, რაც საბოლოო ჯამში დასაქმებულის უსაფრთხოებაზე აისახება.

3.2.2.4 სამუშაო სივრცეში სხვა პირთა უფლება მოვალეობები

სამუშაო სივრცეში სხვა პირი არის პირი, რომელიც დამსაქმებელს ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოს სამუშაო პრაქტიკის განმხორციელებელი პირი და სხვა.[15]

სამუშაო სივრცეში სხვა პირს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, ხოლო თუ ის ეწინაღმდეგება კანონს და საფრთხის შემცველია უარი თქვას სამუშაოზე დაცული შრომის უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე და აცნობოს ზემდგომ ორგანოს, ასევე მას შეუძლია მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დროს მიყენებული ზიანისთვის.[16]

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს სხვა პირის ვალდებულებებს, იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკაშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით

[15]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-3 მუხლის გ ქვეპუნქტი
[16]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-12 მუხლი

დადაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ შრომის უსაფრთხოების წესებს. სხვა პირმა დამსაქმებელს უნდა აცნობოს სამუშო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ და ასევე, აშკარა საფრთხეზე, რომელიც პირის სიცოცხლეს და ჯამრთელობას ემუქრება.

სამუშაო სივრცეში მომუშვე სხვა პირი სარგებლობს ყველანაირი უფლებით, რითაც უნდა სარგებლობდეს დასაქმებული.

3.2.2.5 უბედური შემთხვევის კლასიფიკაცია და დაზღვევა

საწარმოს ინციდენტებსა და უბედური შემთხვევების დადგენის და შემდეგში პრევენცის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტი სტატისტიკის ცოდნას. ბოლოს განვითარებული მოვლენების შედეგად, ძნელია განსაზღვრო ყოველწლიურად რა ოდენობის ინციდენტი ხდება ქვეყანაში.[17] კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ კანონი დამსაქმებელს ავალდებულებს დაუყოვნებლივ შეატყობინოს უბედური შემთხვევის შესახებ დამსაქმებელს და სამართალდამცავ ორგანოებს.

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

ა) მსუბუქი უბედური შემთხვევა- უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა

ბ) საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა-უბედური შემთხვევის გამო შრომისუნარობის დაკარგვა 3 დღიდან 40 დღემდე

[17]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში

გ) მძიმე უბედური შემთხვევა- უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუნარიანობის განვითარება ან ჯამრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუნარიანობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი

დ) ფატალური უბედური შემთხვევა-უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება

ე) მასობრივი უბედური შემთხვევა- უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, ერთი მძიმე უბედური შემთხვევა ან ერთი ფატალური უბედური შემთხვევა.[18]

შრომის უსაფრთხოების შესახებ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმადდასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებეს სამუშო სივრცეში უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც სხვა პირს შეემთხვა და რომელსაც იგი შეესწრო ან რომელიც დასაქმებულს შეემთხვა თუ ჯამრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევს.

დამსაქმებელი ვალდებულია, მძიმე უბედური შემთხვევის და მასობრივი უბედური შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპონენტურ ორგანოებს და ამის შემდგომ უცვლელად შეინარჩუნოს უბედური შემთხვევის ადგილი საგამოძიებო ორგანოების მოსვლამდე. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება პირის სიცოცხლეს და ჯამრთელობის დაცვას და ასევე სერიოზული ეკონომიკურ ზიანის თავიდან აცილებას.[19] დამსაქმებელი ვალდებულია უბედური შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს შესაბამის ორგანოებს და ასევე აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები.

უბედური შემთხვევის დადგომის შემდეგ მიმდინარეობს გამოძიება, რის შედეგადაც დგინდება უბედური შემთხვევის მიზეზი, რასაც უმეტეს შემთხვევაში შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობა იწვევს.

---

[18]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-14 მუხლი

[19]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი ნაწილი

სამშენებლო ობიექტზე უბედური შემთხვევის მაღალი მაჩვენებელის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ შრომის უსაფრთხოების ნორმებისდაუცველობა ამის აღმოფხვრისთვის საჭიროა გამკაცრდეს სამშენებლო ობიექტების შემოწმების წესები.

ქვემოთ მოცემულიადიაგრამა, რომელშიც გამოსახულია 2018 წლის ანგარიში.[20]

[20]საქართველოსკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროსშრომისპირობებისინსპექტირებისდეპარტამენ ტის, 2018 წლისანგარიში



შეუსაბამოდ მაღალი პროცენტული წილი ასე გამოიყურება.

საწარმოებში არ ხდება რისკების შეფასება (15%), ეს არის მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელიც საშუალებას იძლევა ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ეფექტურად მართვის გზით შეამციროს პოტენციურ ჯარიმებთან და დაშავებული თანამშრომლების საჩივრებთან დაკაშირებული ასანაზღაურებელი ხარჯები, აამაღლოს დამსაქმებლის რეპუტაცია, იზრუნოს თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

დასაქმებულები სამუშაო პროცესისას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობენ (14%). რიგ შემთხვევებში დამსაქმებელი აძლევს დასაქმებულს ინიდივიდუალური დაცვის საშუალებებს, თუმცა დასაქმებულები არ იყენებენ. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მოუხერხებელია, მისი გამოყენება ხელს უშლით სამუშაოს სწრაფად და ეფექტურად შესრულებაში, ასევე მათი დიდი ნაწილი არის შეუსაბამო შესასრულებელ სამუშაოსთან. ზოგიერთი ამბობს, რომ არ ხდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე კონტროლი და ამიტომ არ ატარებს;

დარღვევათა დიდი წილი მოდის საწარმოო გარემო ფაქტორების - ფიზიკური ფაქტორების და ქიმიური ფაქტორიების დარღვევათა შეუფასებლობაზე (12%);

სწავლება/ტერნინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩაუტარებლობა (11%). ინსტრუქტაჟებსა და სწავლებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხო მუშაობის პროცედურებში, ის რისკის კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. უსაფრთხო მუშაობის სტანდარტები და წესები შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სამუშაო ისე, რომ რისკის დონე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. საწარმოთა დიდ ნაწილში დასაქმებულები ინსტრუქტაჟებს არ იცნობენ;

შემდეგი ადგილი უჭირავს დარღვევას, რომელიც უკავშირდებამანქანადანადგარების/ტექნიკური აღჭურვილობის უკონტროლობას (10%). საწარმოებში გვხვდება ისეთი მანქანადანადგარები, მათ შორის ამწე მექანიზმები, რომელთაც არ გააჩნია მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი, ან ტექნიკურად გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დარღვევათა გარკვეული წილი მოდის საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმის უქონლობაზე (10%). რიგ საწარმოს აქვს მხოლოდ ხანძრის სიტუაციაში მოქმედების გეგმა, თუმცა სხვა საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმა არ გააჩნიათ. პერსონამლა არ იცის საგანგებო სიტუაციებში ვის დაემორჩილოს და როგორ იმოქმედოს;

დარღვევათა დიდი წილი (10%) მოდის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დამსაქმებელს არ ჰყავს უფროსი დანიშნული, რომელიც ასეთ ფაქტს გააკონტროლებს და არ დაუშვებს სამსახურში არასათანადო მდგომარეობაში მყოფ პირს;

კოლექტიური დაცვის საშუალებების უგულებელყოფაზე ან გაუმართაობაზე მოდის დარღვევათა 9%.

დარღვევათა 9%-ით განისაზღვრა საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების უგულებელყოფა;[21]

მოცემული შედეგების ანალიზი იძლევა საფუძველს , რომ ვთქვათ: არსებული პრობლემები დასაქმებულთა უსაფრთხოების მხრივ განპირობებულია უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით ან დარღვევით,უმეტესად არ არის უსაფრთხოების საშუალებები დაცული. დიდია იმ დასაქმებულთა რიცხვი, რომლებიც არ არიან ინფორმირებულნი, თუ რაუსაფრთხოების ნორმები და პროცედურები უნდა დაიცვან მუშაობის პროცესში, არ უტარდებათ წინასწარი ინსტრუქტაჟი. ეს იძლევა ვარაოდის საფუძველს, რომ სწავლება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა გამკაცრდეს სამშენებლო ობიექტების კონტროლი და ასევე მათ მიერ ჩატარებული სწავლება, რომელიც ეხება უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

2015 წლიდან 2019 წლის აპრილის მდგომარეობით სულ დაღუპულია 76 ადამიანი, ხოლო დაშავებულია 96 ადამიანი.[22]

---

[21]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში, 36

სამინისტროს მიერ გამოგზავნილი წერილის მიხედვთ დაშავებულთა და დაღუპულთა რიცხვი გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

[22]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი, 01/8209, 08.05.2019


დაღუპული
დაშვებული
14
22
18
23
17
22
16
17
11
12
2015
2016
2017
2018
2019
(აპრილის
ჩათვლით)

მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი და გამკაცრდა სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე სანქციები და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა გაუმჯობესდა, დაშვებულ და დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა, რასაც ცხრილში მოცემული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბოლო ოთხი თვის მაჩვენებლები მაღალია წინა წლების მაჩვენებელთან.ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ გულგრილი დამოკიდებულება კანონის იმპერატიული ნორმებისადმი, რადგან კანონის მოთხოვნათა დაცვა ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კანონით დასაქმებული ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული დააზღვიოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.[23]

კანონი ითვალისწინებს მხოლოდ უბედური შემთხვევის დაზღვევას, სადაც მითითებულია არ არის რას უნდა შეიცავდეს დასაქმებულისთვის გაკეთებული დაზღვევა, რაც დასაქმებულის უფლებებზე უარყოფითად აისახება, ვინაიდან დამსაქმებელი მას სთავაზობს დაბალ ლიმიტიან დაზღვევას, რაც არ ანაზღაურებსმიყენებულ ზიანს სრულად, უკეთესი იქნებოდა კანონში ნათლად ყოფილიყო გაწერილი უბედური შემთხვევის დაზღვევის ლიმიტების შესახებ, რათა დასაქმებულის უფლებები დაცული იყოს.

[23]საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი

4. შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი

შრომის პირობების ინსპექტირების მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე ლაპარაკი წლებია მიმდინარეობს და მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობა ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და არ არის საკმარისი ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების გასაუმჯობესებლად.

2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს სამი მიმართულებით.

1. სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებასა და ჯამრთელობის მოთხოვნების შესაბამისობაზე
2. შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე
3. იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციაზე

შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზანია დაეხმაროს დამსაქმებელს, უზრუნველყოს შრომის კანონმდებლობითა და შრომის უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა. შრომის ინსპექტორის მოვალეობებია, შრომის პირობების დარღვევის პრევენცია, გამოვლენილ დარღვევებზე დამსაქმებლის და დასაქმებულის ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სტანდარტების შემუშავება.

შრომის პირობების ინსპექტირების პროცესის გამჭირვალობის მიზნით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, დეპარტამენტის ფუნქციონირების ეფექტურობის და გამარტივების გზით, დეპარტამენტი ინსპექტირების პროცესში იყენებს პლანშეტური კომპიუტერების და სამხარე კამერების, რაც ხელს უწყობს კორუფციის რისკების მინიმუმამდე დაყვანას და პროცესის გამჭირვალობას.[24]

[24]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში

შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს შრომის ინსპექტორებს ინსტიტუციურ დაცვას, რაც გულისხმობს მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლაზე შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელების გამოყენებას.

შრომის ინსპექცის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეხმარება წარმოებებს შრომის კანონმდებლობის დაცვაში, ხარვეზების შემთხვევაში კონსულტაციას უწევს დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატიული აქტების აღსრულებაში.[25]

შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის პროფესია 2015-2017 წლებში ასე გამოიყურებოდა.

[25]იგივე



[26]

[26]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2015-2017 წლის ანგარიში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2018 წლის ანგარიშის[27] მიხედვით შრომის უსაფრთხოების ინპექტორის პროფესია განვითარდა და მათ პროფესიას დაემატა მშენებლობის ინჟინერი, სამთო ინჟინერი, ბიზნეს ინჟინერი, სან-ჰიგიენის სპეციალისტი, ზოგადი პროფესის ექიმი, რაც მათ მუშაობას უფრო ნაყოფიერს და ხარისხიანს გახდის, ვინაიდან, როცა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი მივა სამშენებლო ობიექტზე შესამოწმებლად მასე უნდა ქონდეს სათანადო განათლება და ცოდნა დარღვევის აღმოსაჩენად. ასევე 2018 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წინ იდგება ნაბიჯები, რომლის ერთ-ერთი მაჩვენებელია აპლიკაცის შექმნა ინსპექტორებისთვის, რათა მათ შეძლონ დარღვევის უკეთ აღმოჩენა და სათანადო რეაგირების მოხდენა, აღნიშნული აპლიკაცია, რომელიც შრომის უსაფრთხოების ინსპექტორებს დაეხმარებათ საქმიანობაში, აღნიშნული აპლიკაცია გადმოთარგმნილია გერმანის მაგალითიდან, რაც მოწმობს შრომის უსაფრთხოების განვითარებისკენ გადადმულ ნაბიჯებზე.

შრომის ინსპექტირება გერმანიაში მოიცავს ორ დონეს კერძო და საჯარო სექტორის სამუშაო ადგილების დაცვას, პროფესიულ უსაფრთხოებას და ჯამრთელობის დაცვას[28], საქართველოში, როდესაც მიიღეს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი თავიდან არ იყო განსაზღვრული სფერო, ხოლო ცვლილებების შესვლის შემდეგ განისაზღვრა და მისი რეგულირება შეიცავს,

როგორც საჯაროს ასევე კერძო სექტორსაც, ასევე ცვლილებების შედეგად კანონი მოქმედებს ყველა ეკონომიკურ საქმიანობაზე. აღნიშნული ცვლილებების შედეგად შრომის უსაფრთხოების წესების დახვეწა მიმდინარეობს და ეს მუშებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

---

[27]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში,

[28]<www.ilo.org> 01.06.2019

ILO -ს მიხედვით შრომის ინსპექტორის უმთავრეს მანდატს წარმოადგენს შრომის პირობებისა და დასაქმებულთა დაცვის მარეგულირებელი ნორმების აღსრულების ზედამხედველობა, შრომითი პირობების გაკონტროლება გულისხმობს სამუშაო საათების კონტროლს, ანაზღაურებას, უსაფრთხოებას, ჯამრთელობას, რაც გერმანის კანონმდებლობით შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის მოვალეობაა.

გერმანიაში შრომის ინსპექტორები აკონტროლებენ სამშენებლო ობიექტზე უსაფრთხოებას, ლიცენზის გაცემას. კანონში ცვლილებების შედეგად შრომის ინსპექტორის მანდატი შეიცვალა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია, ასევე კარგი იქნება თუ მოხდება დარედაქტირება და კანონში კვლავ შევა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის მანდატში ცვლილებები და მათი გათანაბრება მოხდება ILO-ს შრომის პირობების სტანდარტთან.

გერმანიის კანონმდებლობის მიხდვითშრომის უსაფრთხოების ინსპექტორი სამშენებლო ობიექტზე ვიზიტს ახორციელებს მუშაკის ან ორგანიზაცის საჩივრის საფუძველზე ან დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში, ასევე უფლებამოსილია ჩაატაროს დაუგეგმავი ინსპექტირების ვიზიტი წინასწარი შეტყობინების გარეშეკვირის ნებისმიერ მონაკვეთში, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი შემოწმებას ახორციელებდა კომპანის თანხმობით ან გეგმიური შემოწმების შედეგად. კანონში ცვლილებებში შესვლის შემდეგ მათ უფლებამოსილება მიენიჭათ, რომ სამშენებლო ობიექტზე ვიზიტი განახორციელონკვირის ნებისმიერ მონაკვეთში გაფრთხილების გარეშე. კანონში არსებული ცვლილებები მეტყველებს ასოცირების ხელშეკრულებასთან დაახლოებაზე, რადგან ევროკავშირის ქვეყნის მაგალითზე და მათი კვლევების დამუშვების შედეგად იხვეწება კანონმდებლობა.

გერმანიაში, როცა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორივიზიტსახორციელებს სამშენებლო ობიექტის შესამოწმებლად, კომპანიის მხრიდანაქტიური ხელის შეშლის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში შეუძლიათ შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება ჯარიმის სახით.[29]

[29]<www.ilo.org>[10.06.2019]

ზემოაღნიშნული ცვლილებები აფართოვებს შრომის უსაფრთხოების ინსპექტორების ფარგლებს და ანიჭებს ინსპექტორებს უფლებას, დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად შევიდნენ ნებისმიერ კომპანიაში შემოწმების ჩატარების მიზნით, ასევე გასცენ სავალდებულო რეკომენდაციები და დააკისრონ ჯარიმები.

მაგ. ინსპექტორს შეუძლია, შეამოწმოს, გამართულად მუშობს თუ არა მშენებლობაზე დამცავი საშუალებები.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მოკვლეული მასალებისა და პროფესიული კავშირების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საწარმოო ინციდენტების უდიდესი წილი ფიქსირდება მშენებლობაზე.[30]

შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაცის თანახმად შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების 2015 წელს, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში შემოწმდა 118 ობიექტიაქედან სამშენებლო ობიექტი იყო 4, 2016 წელს შესაბამისი პროგრამის ფარგლებში შემოწმდა 188 ობიექტი აქედან სამშენებლო იყო 15, 2017 წელს შესაბამისი პროგრამის ფარგლებში შემოწმდა 287 ობიექტი აქედან სამშენებლო ობიექტი იყო 54,სულ 2015-2017 წლებში შემოწმდა 583 ობიექტი, აქედან რემონიტორინგი ჩატარდა შემოწმებულ ობიექტების 27%-ში, 57%-მა არ გაითვალისწინა მათთვის გაცემული რეკომენდაციები, ნაწილობრივ გაითვალისწინა 27 %-მა, ხოლო 16 გაითვალისწინა სრულად.[31] კვლევის ანგარიშის მიხედვით თავიდან სამშენებლო სექტორიში შემოწმების მაჩვენებელი დაბალი იყო. წლების მიხედვით შემოწმების მაჩვენებელი იმატებს, აღნიშნული შემოწმების მაჩვენებელი უბედური შემთხვევების ფონზე დაბალია და უკეთესი იქნება თუ სისტემატურად მოხდება მათი შემოწმება, ასევე შემოწმების კრიტერიუმების გამკაცრება.

---

[30]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა დევნითა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპეტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში

[31]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2015-2017 წლის, 2018 წლის ანგარიში

სამართლიანი სამუშაო პირობების შექმნა და შრომის უფლების დაცვა უმნიშვნელოვანესია მუშათა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, ისეთი მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშო ადგილებზე, როგორიცაა მშენებლობები.

სახელმწიფომ უნდა შექმნას შრომის დამოუკიდებელი ინსპექტორის სათანადო მომზადებული ადეკვატური პერსონალი და ასევე ინსპექტორის ოფისს უნდა ჰქონდეს ფართო მანდატი და შეეძლოს შრომის უსაფრთხოების და შრომითი უფლებების მთელი სპექტრით შემოწმება.

5. უსაფრთხოება

5.1 სახანძრო და ევაკუაცის უსაფრთხოება

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის, მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია, საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროს და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღოს სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები, კანონში აღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად ზუსტად არ განისაზღვრება შესაბამისი ნორმები, უკეთესი იქნებოდა კანონმდებელს განესაზღვრა ზუსტი ნორმები სახანძრო და ევაკუაციის უსაფრთხოების შესახებ.

ასოცირების შეთანხმების მიხედვით საქართველოსთვის სამშენებლო პროდუქციის დირექტივის შესრულება სავალდებულოა, აღნიშნული მოთხოვნა 2024 წლისთვის სრულად უნდა აკმაყოფელებდეს შეთანხმების პირობებს.

სამშენებლო პროდუქცის დირექტივა (89/106/EEC) აერთიანებს, რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას ესენია ხანძრის დროს უსაფრთხოება, მექანიკური სიმტკიცე სტაბილურობა და გამოყენების დროს უსაფრთხოება. აქედან ჩვენ განვიხილავთ სახანძრო უსაფრთხოებას, რომელიც დირექტივაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

სახანძრო უსაფრთხოება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესისთვის, განსაკუთრებით ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ხასიათდებიან რისკის მაღალი დონით, ასეთი ობიექტებისთვის სავალდებულოა წესების და მოთხოვნების დაცვა, რასაც სახანძრო უსაფრთხოების რეგლამენტი

განსაზღვრავს.თუ ორგანიზაციები არ დაიცავენ კანონის მოთხოვნებს მათ დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა[32].

2015-2017 წლებში ობიექტებზე დაფიქსირებული დარღვევების მეტი წილი 14.6% მოდის სახანძრო უსაფრთხოებაზე (არ ტარდება სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით, არ არის გამოკრული საევაკუაციო გასასვლელებთან ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა, არ არის ან ვადაგასულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილები არ არის აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით, არ არის აღნიშნული ხანძარფეთქებადსაშიში მოწყობილობების და ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვის ადგილი სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით, ჩახერგილია საევაკუაციო გზები, სხვადასხვა საგნით გადაკეტილია გამწოვი არხები, ღიობები და ცხაურები, სახანძრო სტენდი არ არის დაკომპლექტებული ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, არამექანიზებული სახანძრო ინსტრუმენტით და ინვენტარით ან სტენდი არ არის, ასევე არ არის ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა, დაღვრილი ნავთობპროდუქტების დასაფარად არ აქვთ სორბენტი, სორბენტისა და გაზეთილი საწმენდი მასალების შესაგროვებლად ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთები არ გამოიყენება).[33]

ქვემოთ მოცემულ დიაგრამზე კარგად ჩანს 2015-2018 წლებში სამშენებლო ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის პროცენტულობა.

[32]<www.itcraft.ge>[14.06.2019]
[33]<www.itcraft.ge>[14.06.2019]



[34][35]

[34]საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროსშრომისპირობებისინსპექტირებისდეპარტამენ ტის, 2015-2017 წლისანგარიში

[35]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში

სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქციებში აუცილებელია შემდეგი საკითხების ასახვა:

ა) ტერიტორიების, შენობების და სათავსების, მათ შორის საევაკუაციო გზების მოვლის წესი;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების, დანადგარების ექსპლუატაციის, ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების დროს; გ) ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვისა და ტრანსპორტირების წესი;

დ) მუშაობის დამთავრების შემდეგ სათავსების დათვალიერების და დაკეტვის წესი;

ე) თამბაქოს მოწევის და ხანძარსაშიში სამუშაოების (მათ შორის, დროებითი) ჩატარების ადგილები;

ვ) წვადი ნივთიერებისა და მასალების შეგროვების, შენახვისა და გატანის, აგრეთვე სპეცტანსაცმლის მოვლის და შენახვის წესი;

ზ) სათავსში ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის ერთობლივად შენახვის ადგილი და დასაშვები რაოდენობა;

თ) წვადი ნარჩენებისა და მტვერის მოცილების პერიოდულობა და წესი;

ი) საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების (მანომეტრები, თერმომეტრები და სხვა) ზღვრული ჩვენებები, რომელთა სიდიდიდან გადახრამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხანძარი ან აფეთქება;

კ) ხანძრის შემთხვევაში მუშაკთა მოვალეობები და მოქმედებები, მათ შორის: სახანძრო-სამაშველო დანაყოფის გამოძახების წესი; ტექნოლოგიური დანადგარების ავარიული გაჩერების წესი; ვენტილაციისა და ელექტრომოწყობილობების გამორთვის წესი (მათ შორის, ხანძრის შემთხვევაში და

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ); ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის მოწყობილობების გამოყენების წესები; მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციის წესი.[36]

სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციაში ასევე ასახული უნდა იყოს ხანძრის პირობებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მოქმედებები, მათ შორის მოქმედებები რომელიც მოიცავს:

ა) ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის, აგრეთვე ზემდგომი ხელმძღვანელობისა და ობიექტის დაცვის სამსახურისათვის შეტყობინებას;

ბ) ადამიანთა გადასარჩენად (თუ მათ სიცოცხლეს ემუქრება საშიშროება) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ ზომების მიღებას;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების (ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) ამოქმედების შემოწმებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში ელექტროენერგიის გამორთვას (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა), მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობის შეჩერებაზე, ნედლეულის, აირის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციების გადაკეტვაზე, სავენტილაციო სისტემების მუშაობის შეჩერებაზე ავარიულ და მის მომიჯნავე სათავსებში, იმ ღონისძიებების შესრულებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;

ე) ყველა სამუშაოს შეწყვეტას (თუ ეს დასაშვებია წარმოების ტექნოლოგიური პროცესით), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;

ვ) საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა თანამშრომლის გაყვანას, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;

[36]<www.safetyacademia.com>[14.06.2019]

ზ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მისვლამდე ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობის განხორციელებას (ობიექტის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით);

თ) ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფას;

ი) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად მატერიალური ფასეულობების ევაკუაციასა და დაცვის ორგანიზებას;

კ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დახვედრას, ხანძრის კერასთან უმოკლესი გზების შერჩევაში დახმარების გასაწევად; ლ) ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისათვის პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ცნობების მიწოდებას იმ საშიში (ფეთქებადსაშიში), ფეთქებადი, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ინახება ან გადამუშავდება ობიექტზე;

მ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლისთანავე ინფორმაციის მიწოდებას ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობისა და ხანძარსაშიში თვისებების შესახებ, აგრეთვე ხანძრის წარმა-ტებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემების შესახებ;

ნ) ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის ორგანიზებას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.[37]

ობიექტზე უნდა განისაზღვროს ხანძრის ჩაქრობითვის პირველადი საშუალებების შენახვისა და მოქმედების მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი, თითოეულ სართულზე უნდა იყოს არანაკლებ ორი ხელისცეცხლმაქრი.[38]

სამშენებლო მოედანზე ხარაჩოები და ფიცარნაგები უნდა იყოს ისეთი მასალის, რომელიც ხელს არ უწყობს წვას და ცეცლის გავრცელებას.[39]

---

[37]<www.safetyacademia.com>[15.06.2019]

[38]საქართველოს მთავრობის დადგენილება N370, 14 მუხლის, მე-8, მე-9 ნაწილი

[39]საქართველოს მთავრობის დადგენილება N370, 2015.23.07, 46მუხლი მე-2

ინსპექტორები ვალდებულნი არიან შეამოწმონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და შეადარონ სტანდარტებს, თუ არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს კანონის შესაბამისად ხდება დაჯარიმება.[40]

გერმანიაში, ახალი შენობების სამშენებლო ეტაპზე, ხანძრის უსაფრთხოებას გეგმავენ უსაფრთხოების ექსპერტები, ისინი მონიტორინგს უწევენ სამშენებლო მასალების გამოყენებას, რომლებიც ყველაზე მდგრადია ხანძრის მიმართ. რჩევებს იძლევიან, რათა უკეთესად დაპროექტდეს სართულები, იატაკები და სხვა ელემენტები შენობაში, რომ შემცირდეს ხანძრის გავრცელების რისკი. გარდა ამისა, მშენებლობა ითვალისწინებს საგანგებო გასასვლელების არსებობას, ხანძარსაწინაღმდეგო სისტემების შესასვლელ ადგილებს და ა.შ[41]მიმაჩნია, რომ მსგავსი ტენდენცია ჩვენს კანონშიც, რომ დამკვიდრდეს უკეთესი იქნება.

გერმანიაში სახანძრო უსაფრთხოების სიგნალი ყველა სახლში არის დამონტაჟებული. კვამლის დეტექტორის დამონტაჟება სახანძრო დეტექტორების დამონტაჟებისას მნიშვნელოვანი წესია.[42]

მშენებლობის დაწყებისას უნდა არსებობდეს ექსპერტის დასკვნა, რომლის გადამოწმებაც დროდადრო უნდა განხორციელდეს.[43]

სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის და სართულზე 10 და მეტი ადამიანის სამუშაო ადგილის მქონე ობიექტებში, ყველა სართულზე საევაკუაციო გასასვლელებთან უნდა იქნეს გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა, რომლის შედგენის წესი მკაცრად არის განსაზღვრული.[44]

ევაკუაციის გეგმის შემუშავება განხორციელდება ექსპერტის ვიზიტი და მოხდება ობიექტის ოპერატიულ-ტაქტიკური მახასიათებლების შესწავლა, რაც მოიცავს შენობა ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების შესწავლას, დაგეგმარებას, აზომვითი ნახაზების არსებულ რეალობასთან შესაბამისობის განაზღვრას, მოსალოდნელი რისკების დადგენას, ხანძრის ქრობის პირველადი

---

[40]საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, 177 მუხლი
[41]<www.ribaj.com>[16.06.2019]
[42]<www.ribaj.com>[17.06.2019]
[43]<www.sicher24.de>[16.06.2019]
[44]<www.Safetyacademia.com>[17.06.2019]

საშუალებების სახეობის და რაოდენობის განსაზღვრას, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ხანძარფეთქებადსაშიშ კატეგორიების დადგენას, მოსალოდნელი ხანძრების კლასიფიცირებას, ევაკუაციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას (მარშრუტები, კიბის უჯრედები, გასასვლელები, შეკრების ადგილები და მათი ნორმებთან შესაბამისობა).[45]

მშენებლობის პერიოდში მაღალი ნაგებობიდან ადამიანთა საევაკუაციოდ საჭიროა განთავსდეს არანაკლებ ორი უწვავი მასალისგან დამზადებული კიბე.[46]

5.2 სამედიცინო უსაფრთხოება

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში არსებობს ჩანაწერი პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ, რომელიც ზუსტ განმარტებას არ აკეთებს თუ რა მოიაზრება ამ ნორმაში, კარგი იქნებოდა მუხლის გავრცობა ამ კუთხით. ჩემი აზრით, რეკომენდირებული იქნებოდა სამშენებლო ობიექტზე ერთი ზოგადი სამედიცინო სპეციალისტის ყოფნა.

ჩვენი კანონმდებლობისგან განსხვავებით გერმანის კანონმდებლობაა უკეთ განსაზღვრავს პირველადი სამედიცინო დახმარების უსაფრთხოების წესებს სამშენებლო ურთიერთობებში, გერმანის კანონმდებლო საწარმოებს ავალდებულებს ტრენინგის ჩატარებას პირველად სამედიცინო დახმარებაზე.[47]

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია შრომის უსაფრთხოების ინპექტორის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების დარღვევები.

---

[45]<www.Safetyacademia.com>[17.06.2019]

[46]საქართველოს მთავრობის N370, 46-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 2015.07.23,

[47]<www.gibsonis.com>[17.06.2019]



[48][49][50]

როგორც ვხედავთ პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების დარღვევები მომატებულია წინა წლებთან შედარებით, სავარაუდოდ ეს გამოწვეულია კანონისადმი გულგრილი მიდგომით საკანონმებლო ნორმების დარღვევით. პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების დაცვის უკანა პლანზე გადაწევას დამსაქმებლის მიერ შედეგად კი მივიღეთ დარღვევების მომატება.

[48]საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროსშრომისპირობებისინსპექტირებისდეპარტამენტის, 2015-2017 წლის, ანგარიში

[49]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018 წლის ანგარიში

[50]საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროსშრომისპირობებისინსპექტირებისდეპარტამენტის,2019წლისანგარიში

5.3 მომეტებული საფრთხე

საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-8 მუხლში ჩანაწერი არის მომეტებულის საფრთხის წარმოშობის შემთხვევებზე თუ რა ქმედებები უნდა განახორციელოს ან არ განახორციელოს დამსაქმებელმა, მაგ: დამსაქმებელი ვალდებულია სასწრაფოდ შეატყობინოს სპეციალურ დაწესებულებებს და დასაქმებულებს ასევე სამუშაოა სივრცეში მყოფ სხვა პირებს, რომელთაც შეიძლება დაემუქროს მომეტებული საფრთხე. ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და გასცეს სამუშოს შეწყვეტის ბრძანება, უფლება არ აქვს მოითხოვოს სამუშოს გაგრძელება სანამ არსებობს მომეტებული საფრთხე.[51]

თუმცა კონკრეტულად კანონი არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება მომეტებულ საფრთხეში.

შესაძლოა ეს კანონმდებელს უფრო ფართოდ განესაზღვრა, რათა მარტივად გასაგები ყოფილიყო თუ რა იგულისხმება მომეტებულ საფრთხეში.

5.4 სიმაღლიდან ვარდნის დაცვის საშუალებები

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში N477 განსაზღვრულია, სიმაღლიდან დაცვის საშუალებები მათი დემონტაჟის და გამოყენების წესები ამის საშუალებებას წარმოადგენს: დამცავი მოაჯირები და უსაფრთხოების ბადეები. დაცვის მოაჯირებისა და უსაფრთხოების ბადეების მოწყობასა და ექსპლუატაცის წესები განსაზღვრავს კანონი.[52][53]

---

[51]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“,

მე-8 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 ნაწილები

[52]საქართველოს მთავრობის დადგენილება N477, მე-5 მუხლი, 2017.27.10,

[53]საქართველოს მთავრობის დადგენილება N477, მე-10 მუხლი, 2017.27.10

არის რამდენიმე კატეგორიის უსაფრთხოების ბადე გამოყენების მიხედვით: შენობის ფასადის დასაფარად, აგრეთვე სამშენებლო ნარჩენების, მტვრისა და სხვადასხვა ნივთების სამშენებლო ტერიტორიის გარეთ მოხვედრით თავიდან აცილების მიზინით.[54]

მშენებლობიდან მსხვილი ნივთების ჩამოვარდნის შემთხვევაში, მათ შესაკავებლად სჭირდება სპეციალური სისტემა, რომელზეც დამაგრდება და 7 მეტრიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში 250 კგ-ს შეკავება შეუძლია.[55]

საიზოლაციო ბადე, რომელიც მშენებლობის კიდეს მკვეთრად გამოყოფს და გარკვეული დამცავი ფუნქცია გაჩნია, რათა ხელი შეუშალოს ადმიანის გადმოვარდნას.[56]

დამცავი მოაჯირი უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სამიაღლიდან ვარდნის პროცენტული საფრთხე, მოაჯირი უნდა უძლებდეს არანაკლებ 90 კგ ტვირთის მიწოლას.[57]

2019 წლის 17 მაისს მივმართე თბილისის საქალაქო სასამართლოს და გამოვითხოვე ინფორმაცის სახით სასამართლო გადაწყვეტილების ასლები, რის შედეგადაც მათ მიერ მოწოდებული იქნა 2015 წლის 12 ნოემბრის სასამართლო განაჩენი, რომელიც მომეწოდა საქმის ნომრის გარეშე.

მოწოდებული განაჩენში სასმართლომ დადგენილად მიიჩნია თ.გ-მ ჩაიდინა უსაფრთხოების წესების დარღვევა სამშენებლო სამუშოების წარმოებისას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. დამსაქმებელი ვალდებული იყო დაეცვა დადგენილი უსაფრთხოების ნორმები და მიიეღო შესაბამისი ზომები მუშის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მან დაარღვია სამშენებლო უსაფრთხოების ნორმები, რაც გამოიხატა შემდეგში არ ჰქონდა დამცავი შემოღობვა არ ჩაუტარებია ინსტრუქტაჟი სამუშოების უსაფრთხოდ ჩატარების მეთოდზე. სამშენებლო ობიექტზე, სადაც სამუშაოები მიმდინარეობდა გადმოვარდა მუშა, რომელმაც მიიღო მძიმე დაზიანებები და საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა.

---

[54]<www.ttcld.ge>[17.06.2019]
[55]<www.ttcld.ge>[17.06.2019]
[56]<www.ttcld.ge>[17.06.2019]
[57]საქართველოს მთავრობის დადგენილება N477, მე-5 მუხლი. 2017.27.10

სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ ბ „ ვალდებული იყო დაეცვა დადგენილი უსაფრთხოების წესები. სწორედ ამ წესების დაუცველობამ გამოიწვია ზემოთ მოცემული შედეგი. საქალაქო სასამართლომ შპს „ ბ ხელმძღვანელი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამშენებლო ობიექტეზე უბედური შემთხვევის მაღალი მაჩვენებელის გამო საჭიროა გამკაცრდეს უსაფრთხოების დაცვის ნორმები და მოთხოვნები. შეუსრულებლობის შემთხვევაში გამკაცრდეს არსებული პასუხისმგებლობა, ვინაიდან უბედური შემთხვევები სწორედ იმის გამო ხდება, რომ სათანადოდ არ არის დაცული კანონის ნორმები.

6. სამშენებლო ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობა

6.1 გაფრთხილება

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონით და საქართველოს სხვა კანონქვემდებარე აქტებით.[58] აღნიშნულ თავში განხილული იქნება სამშენებლო ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობა.

გერმანიის სამართალდარღვევათა კანონის 47-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დაიწყოს თუ არა წარმოებათავისი უფლებამოსილების ფარგლებში.[59] იმავე კანონის 55-ე მუხლით მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, გაფრთხილების გამოყენება და ჯარიმის დაკისრება ერთდროულად ან მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლოს.[60] მაგ: უნებართვო მშენებლობის შემთხვევაში, საზედამხედველო სამსახურში, მხოლოდ მძიმე დარღვევისთვის მიმართავენ სასაჯელო ზომებს,[61] ხოლო საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით უნებართვო მშენებლობის დრო იწვევს დემონტაჟის მოთხოვნას და ასევე დაჯარიმებას.[62]

---

[58]საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახე“ მე-17 მუხლის პირველი ნაწილი

[59]ლ. შატბერიშვილი, სამართალი და მსოფლიო, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, N9/2018, თბილისი, <www.library.court.ge>[18/06/2019]

[60]ლ. შატბერიშვილი, სამართალიდამსოფლიო, ევროპისუნივერსიტეტისსამართლისსამეცნიერო-კვლევითიინსტიტუტისსაერთაშორისოსამეცნიერორეფერირებადიჟურნალი, N9/2018, თბილისი, <www.library.court.ge>[18/06/2019]

[61]ლ. შატბერიშვილი, სამართალიდამსოფლიო, ევროპისუნივერსიტეტისსამართლისსამეცნიერო-კვლევითიინსტიტუტისსაერთაშორისოსამეცნიერორეფერირებადიჟურნალი, N9/2018, თბილისი, <www.library.court.ge>[18/06/2019]

[62]

ადმინისტრაციული პასუხსიმგებლობიდან პირველს განვიხილავთ გაფრთხილებას, როდესაც ზედამხედველი ორგანო შეამოწმებს სამშენებლო ობიექტს და აღმოაჩენს დარღვევას მიიღებს გაფრთხილებას.

გაფრთხილების მიღებას გამოიწვევს თუ საწარმოში არ არსებობს კრიტიკული შეუსაბამობა.[63]

აღმოჩენილი დარღვევების შედეგად ზედამხედველი ორგანო აძლევს მხარეს გონვრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისთვის.[64] გონივრულ ვადას ზედამხედველობის ორგანო ადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულ წარმომადგენლებთან ერთდ.[65]

მიცემული გონივრული ვადის შემდეგ ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს მითითება შესრულდა თუ არ შესრულდა მითითება, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი.[66]შემოწმების აქტში ასახული უნდა იყოს რომელი უწყების მიერ არის გამოცემული შემოწმების აქტი, მისი შესრულების და გასაჩივრების წესები.[67]ზედამხედველი ორგანოს მიერ გაცემულ ვადაში მითითების შეუსრულებლობა გამოუსწორებლობის შემთხვევაში,გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის გამკაცრებას და საწარმო დაჯარიმდება.[68]

საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ზუსტ განმარტებას არ აკეთებს თუ რა შემთხვევაში შეუძლია ზედამხედველობის ორგანოს საწარმოსთვის გაფრთხილების მიცემა. 22-ე მუხლის პირველი ნაწილში ზოგადად არის მითითებული „თუ საწარმოში არ არსებობს კრიტიკული შეუსაბამობა“[69],აღნიშნული მუხლში ზოგადი ჩანაწერია გაკეთებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა განმარტება.

---

[63]საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესხებ“ 22-ე მუხლის პირველი ნაწილი

[64]საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი

[65]საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 ,მუხლის მე-3 ნაწილი

[66]საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე- 18 მუხლის მე-4 ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტი

[67]საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 52^1-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) ქვეპუნქტი, N2181, 07/06/2019

[68]საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი

[69] საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი ნაწილი

კარგი იქნებოდა, კანონში იყოს ზუსტი ჩანაწერი, რა შემთხვევაში შეძლებს ზედამხედველობის ორგანო გაფრთხილების გამოყენებას.

6.2 ჯარიმა

საქართველოში შენობების მშენებლობაზე უსაფრთხოების ნორმების ხშირად ირღვევა, ბოლო დროს გახშირდა უბედური შემთხვევები. „შრომის უსაფრთხოების შესხებ“ კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელის სახით ჯარიმას.[70]

საქართველოს სამართალდართვევათა კოდექსი მიხედვით განსაზღვრულია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დადგენილი დარღვევები ან შეუსრულებლობა,[71] რომლის თანახმადაც განსაზღვრულია, სამშენებლო ობიქტზე ნორმების დარღვევის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა დაეკისრება მეწარემს, კერძოდ კანონმდებლობაში განხილულია სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის შედეგად დამდგარი ადმინისტრაციული სახდელის შესხებ, ასევე კანონმდებელი განმარტავს, რომ თუ ხელმეორედ განმეორედება იმავე საკითხის დარღვევა გაორმაგებულად დაჯარიმდება სამართალდამრღვევის ჩამდენი.

საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ განმარტებას აკეთებს მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშოების განხორცილება ამ საქმიანობის რეგისტრაცის გარეშე ან ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციითვის ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების წარუდგენოლობა გამოიწვევს დაჯარიმებას, რომელიც შეადგენს 1000 ლარის ოდენობით.[72]

ზედამხედველობის ორგანო ობიექტის შემოწმების, შედეგად სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, რომელშიც განხილულია ადმინისტრაციული სახდელის ზომა და მისი შესრულების ვადა.

---

[70]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის პირველი ნაწილის, ბ ქვეპუნქტი

[71]საქართველოს სსრ უმაღლესი საბოს დადგენილება, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ, 177-ე მუხლი, N61, 30/05/2019

[72]საქართველოს ორგანული კანონო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მე-19 მუხლის პირველი ნაწილი

სამართალდარღვევის აქტის შესრულება უნდა მოხდეს დადგენილ ვადაში, დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს ზედამხედველობის ორგანო დააკისრებს საურავს ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო მათი გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება.[73]როდესაც სამართალდამრღვევს დაკისრებული აქვს ჯარიმა და საურავი უნდა გადაიხადოს ორივე, მხოლოდ ჯარიმის გადახდა მას არ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.[74] ასევე სამართალდამღვევს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ ათავისუფლებს მოთხოვნის შესრულებისგან.[75]

დაჯარიმების ერთ-ერთი საფუძველია, თუ ობიექტის შესამოწმებლად მოდის ზედამხედველობის ორგანო და შემოწმების დროს გამოვლინდება ხელის შეშლის ფაქტი.[76] ასევე დაჯარიმების ერთ-ერი საფუძველია ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.[77]

კანონში[78] ცვლილებების შესვლის შემდეგ საჯარიმო სანქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, აღნიშნული ცვლილებები შედეგად იმედია დასაქმებულთა უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება დაცული. ჯარიმების გაზრდის შემდეგ კომპანიები უფრო მკაცრად მიუდგებიან უსაფრთხოების ნორმების დაცვას და გაუფრთხილდებიან დასაქმებულების უსაფრთხოებას.

ბოლო წლების სტატისტიკას თუ გავეცნობით ვნახავთ,[79] რომ ძალიან მოიმატა სამშენებლო სექტორში დაღუპულთა მაჩვენებელმა, განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია ამა წლის ოთხი თვის შედეგები, თითქმის აღემატება წინა წლებში დაღუპულთა მაჩვენებელს.

---

[73]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის 10-ე ნაწილი
[74]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-11 ნაწილი
[75]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-9 ნაწილი
[76]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის პირველი ნაწილი
[77]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 21-ე მუხლის პირველი ნაწილი
[78]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“
[79]ამავე ნაშრომის, 3.2.2.5 უბედური შემთხვევის კლასიფიკაცია და დაზღვევა, 24გვ

ბოლო დროინდელი მოვლენებიდან თუ ვიმსჯელებთ დადებითი შედეგების უნდა მოჰყვეს სანქციების გაზრდას, რადგან კომპანიები უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმნიანობას.

6.3 სამუშაო პროცესის შეჩერება

შრომის უსაფრთხოების შესხებ კანონის მიხედვით სამართალდარღვევის ერთ-ერთი სახდელია სამუშო პროცესის შეჩერება.

სამუშო პროცესის შესაჩერებლად საჭიროა ზედამხედველობის ორგანოს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილება საბოლო სახეს არ წარმოადგენს მას კანონიერ ძალაში შესასვლელად სჭირდება სასამართლოს მიერ დამტკიცება.[80] სამართალდარღვევის აქტი სასამართლოს დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს 24 საათის განმავლობაში, რათა სამართალდარღვევის აქტი შევიდეს კანონიერ ძალაში, წინაღმდეგ შემთხვევაში სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ჩაითვლება გაუქმებულად.[81]

ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია სამუშოები შეაჩეროს, სამშენებლო ობიექტის კონკრეტულ მონაკვეთზე ან შესაბამის სამუშაო ადგილზე, ამისთვის საჭიროა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო საფრთხე ემუქრებოდეს დასაქმებულის ან მესამე პირს და მისი გამოსწორება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.[82] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის

[80]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-12 ნაწილის ა) ქვეპუნქტი

[81]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახბ“ მე-18 მუხლის მე-12 ნაწილის დ) ქვეპუნქტი

[82]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-12 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი

პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისანგარიშების[83] მიხედვით სამშენებლო ობიექტზე ფიქსირდება შრომის უსაფრთხოების პირობების დარღვევის ფაქტები, რაც ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტული საკითხია.

კომპანია, როდესაც გამოასწორებს დარღვევას, შეუძლია მიმართოს ზედამხედველობის ორგანოს და მოითხოვოს სამუშაოების აღდგენა, ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი პირს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამუშაოების აღდგენის ან აღდგენაზე უარის თქმის შესახებ. მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა ჩაჰბარდეს დაუყოვნებლივ. გადაწყვეტილების ბოლოში მითითებული უნდა იყოს გასაჩივრების წესების შესახებ, მხარეს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია სასამართლოში.[84]

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ზედამხედველობის ორგანოს მიერ გამოტანილი აქტის შეუსრულებლობა სამუშოს შეჩერების შესახებ, გამოიწვევს კამპანის დაჯარიმებას, ჯარიმის თანხის ოდენობა განისაზღვრება წინა კალენდარული წლის მიხედვით.

ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოები მთლიანად ან ნაწილობრივ რისი საფუძველიც შეიძლება იყოს; სამშენებლო ნორმების, წესების და სტანდარტების დარღვევა.[85] ასევე სამშენებლო სამუშოების შეჩერების საფუძვლებია; მშენებლობის ნებართვის არქონა, პროექტთან შეუსაბამო მშენებლობა.[86]

საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ განმარტავს შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარ ადმინისტრაციულ სახდელების, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ერთ-ერთი სახდელია სამუშოპროცესის შეჩერება, რომლის შესახებ კანონში არის ჩანაწერი, მაგრამ მხოლოდ იმაზე საუბარი თუ რა უფლება მოვალეობები აქვს ზედამხედველობის ორგანოს და

---

[83]საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროსშრომისპირობებისინსპექტირებისდეპარტამენტის, 2015-2017 წ, 2018წ, 2019წ,ანგარიში

[84]საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მე-18 მუხლის მე-15 ნაწილი

[85]<www.nplg.gov.ge>[17/06/2019]

[86]<www.liberali.ge>[17/06/2019]

როგორ გამოითვლება სამართალდარღვევის აქტის შეუსრულებლობის შედეგად ჯარიმა.

ადვილად აღსაქმელი იქნებოდა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში ყოფილიყო ჩანაწერი, რომელი სამშენებლო ნორმის დარღვევა გამოიწვევდა სამუშაოების შეჩერებას და ასევე აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, რა პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა კომპანიას. კანონში ცვლილებების მიუხედავად , რომელიც მართალია წინ გადადგმული ნაბიჯია ჯარიმის სახით სანქციების გაზრდა, უკეთესი იქნებოდა სამუშაოს შეჩერების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციის სახით მხოლოდ ჯარიმა, რომ არ გამოიყენებოდეს და ამითვის დგებოდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა.

6.4 სისხლის სამართლის პასუხიმგებლობა

სამშენებლო ურთიერთობებში უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯამრთელობის ნაკალებად მძიმე ან მძიმე დაზიანება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით.[87]

სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულია, რომ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, თუ კი გამოიკვეთა, რომელიმე კონკრეტული მხარის ბრალეულობა დამდგარ შედეგში, გამოძიება შესაბამის ზომებს ახორციელებს და იწყება ძეიება, თუ დანაშაული დაუდგინდება დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში უმთავრეს გამოწვევად კვლავ რჩება შრომის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სამუშაოს შესრულებისას დაშავებულ/გარდაცვლილ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით ასე გამოიყურება

[87]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი



[88]

აღნიშნული სტატისტიკა შეიცავს ზოგადად სამუშო პროცესში დაშვებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას, ხოლო მხოლოდ სამშენებლო სექტორში დაღუპულთა და გარდაცვლილთა სტატისტიკა ასე გამოიყურება:

[88]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N1122353, 14/05/2019



[89]

2015 წლის სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და გარდაცვლილთა შესახებ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე და 240[1]-ე მუხლებით, 170-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.[90]

2016 წლის მონაცემებით უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 58 და დაშავდა 85 ადამიანი, სისიხლის სამართლის დანაშაულისთვის გამოძიება დაიწყო 121 შემთხვევაში, სსკ 240-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ასევე 240[1]-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.[91]

2017 წლის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ დაიწყო გამოძიება 128 შემთხვევაში, სასამართლომდე მივიდა მხოლოდ 11 საქმე.[92]

---

[89]საქართველოსკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯამრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროს წერილი N01/8209, 08/05/2019

[90]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2015 წლის ანგარიში,<www.ombudsman.ge>[15/05/2019]

[91]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიში, <www.ombudsman.ge>[15/05/2019]

[92]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში, <www.ombudsman.ge>[17/05/2019]

2018 წლის განმავლობაში გამოძიება დაიწყო უბედური შემთხვევის 224 ფაქტზე აქედან გამოძიება შეწყდა 67 შემთხვევაში, 19 შემთხვევაში მიმდინარეობს სისხლისამართლებრივი დევნა.[93]

უმეტეს შემთხვევაში სასამართლო და არამარტო სასამართლო სხვა ორგანოებსაც არ აქვთ მკაცრი მიდგომა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების მიმართ, რაც იწვევს ზემოთ მოცემულ შედეგს[94], ამის გამოსასწორებლად აუცილებელია სამართლებრივი ორგანოების დამოკიდებულება გამკაცრდეს დარღვევების მიმართ.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადაგომის საკითხითან დაკავშირებით განვიხილოთ საქალაქო სასამართლოს განჩინება.

2019 წლის 17 მაისს მივმართე თბილისის საქალაქო სასამართლოს და გამოვითხოვე ინფორმაციის სახით სასამართლო გადაწყვეტილების ასლები, რის შედეგადაც მათ მიერ მოწოდებული იქნა 2016 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენი, რომელიც მომეწოდა საქმის ნომრის გარეშე.

მოწოდებულ განაჩენში სასმართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ბ“ ბრიგადირმა დაარღვია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც გამოიხატა იმ ფაქტში, რომ ამწეკრანზე ჩამოკიდა ცელოფნის პარკი სადაც იდო ცივი სასმელი და მუშას ააწოდა მე-7 სართულზე. მან უგულვებელყო უსაფრთხოების წარმოების ინსტრუქცია და ასწია ხსენებულ სართულზე მიმაგრებულ პლათფორმაზე, რომელზეც იდგა იქ მომუშავე მუშა, ამ დროს ჯაჭვი გამოედო პლათფორმას რამაც გამოიწვია პლათფორმაზე მდგარი მუშა ჩავარდნა და გარდაცვალება. ამ ფაქტის შესახებ გამოიკითა მოწმეები, რომლებიც იმ მომენტში იქ იმყოფებოდნენ და დეტალურად ყვებოდნენ ზემოთ აღნიშნულ ფაქტს.

ასევე სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ექსპერტი, რომელმაც დადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის პასუხის სისწორე.

სასამართლო თვლის, იმისთვის, რომ პირის ქმედება დაკვალიფიცირდე, როგორც საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ

---

[93]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში, <www.ombudsman.ge>[17/05/2019]

[94]იხ.29გვ

ქმედება, საჭიროა სახეზე გვქონდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, შედეგი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრიგადირის მიერ განხორციელებული ქმედებით ჩაიდინა სამშენებლო სამუშოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

სასამართლომ დადგინა, რომ ბრიგადირი დამნაშავედ იქნას ცნობილი და მიესაჯოს სასჯელის სახით 4 წლის თავისუფლების აღკვეთა.

სწორედ ამ წესების დაუცველობამ გამოიწვია ადამიანის სიცოხცხლის მოსპობა, სამშენებლო ნორმების შესრულება უნდა კონტროლდებოდეს გამკაცრებულად.

დასკვნა

საქართველომ მიიღო კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ , აღნიშნული ცვლილებები საკმარისი არ არის და კვლავ დასარეგულირებელი რჩება მთელი რიგი საკითხები,მაგ: არ გვყავს სახანძრო უსაფრთხოების ექსპერტი, ზოგადად ფორმალურ ხასიათს ატარებს ტრენინგები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კომპანიები ამას დიდ ყურადღებას არ აქცევენ და კარგი იქნებოდა ხდებოდეს ამის კონტროლიამ საკითხების. რომელთა მოგვარება დროულად აუცილებელია არა მხოლოდ ევროსტანდარტებთან შესაბამისიობისთვის არამედ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კვლავ აქტიური საკითხების დღის წესრიგში რჩება ეფექტიანი შრომითი ინსპექტირების ჩამოყალიბება.

აუცილებელია მოხდეს შრომის საერთაშორისო ნორმების ადეკვატური შეფასება, რაც გულისხმობს ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესებას, ასევე კვალიფიციური კადრების მომზადებას, უბედური შემთხვევები შემცირებას და რაც ასევე ყველაზე მნიშვნელოვანია პირველადი სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებას.

საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე შრომის სტანდარტების სფეროში ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად საქართველო დღემდე აჭიანურებს შესრულებას.

კვლევა ცხადყოფს, რომ სამშენებლო სექტორში დასაქმებულები მრავალი პრობლემის წინაშე დგანან, პირველი და მნიშვნელოვანი პრობლემა დასაქმებულისთვის დაბალი ანაზღაურეება, მაგრამ უპირველეს პრობლემად რჩებაშრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა, რაც მეტყველებს ქვეყანაში არსებული დაშავებულთა და დაღუპულთა სტატისტიკა მშენებლობებზე.

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სამშენებლო სექტორისთვის რჩება კანონის აღსრულება, რაც დღესდღეისობით ჯეროვნად ვერ ხერხდება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მშენებლობებზე უსაფრთხოებას აკნოტროლებენ ზედმხედველობის ორგანო და შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი, აღნიშნული

ორგანოების მუშაობა ნაკლებად ეფექტურია, რაც გამოხატულია მომხდარი უბედური შემთხვევების მაღალი მაჩვენებლით.

სამშენებლო ობიექტზე უბედური შემთხვევის მაღალი მაჩვენებლის გამო საჭიროა გამკაცრდეს უსაფრთხოების დაცვის ნორმები და მოთხოვნები, შეუსრულებლობის შემთხვევაში გამკაცრდეს არსებული პასუხისმგებლობა, ვინაიდან უბედური შემთხვევები სწორედ იმის გამო ხდება, რომ სათანადოდ არ არის დაცული კანონის ნორმები.

სამშენებლო სექტორში დასაქმებული პირები ყველაზე დაუცველ დასაქმებულთა ჯგუფში შედიან.

კანონში ცვლილებების შესვლის შემდეგ შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის მანდატი გაიზარდა, რაც დასაქმებულებითვის წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან შრომის უსაფრთხოების ინსპექტორს შემოწმებაზე შეუძლია გაფრთხილების გარეშე შევიდეს, ასევე რეკომენდირებული იქნება თუ უფრო გაიზრდება მათი მანდატი და სრულად შეძლებენ დასაქმებულების უფლებების დაცვას, წინაღმდეგ შემთხვევაში სტატისტიკის გაზრდის შანსები არსებობს.

გარდა ამისა, სასურველია მეტად დაიხვეწოს კანონმდებლობა, რომელიც არ ვრცელდება ყველა დასაქმებულის ადგილზე და ის მოიცავს მხოლოდ იმ კონკრეტულ სფეროებს, რომელიც არის მომეტებული რისკის მქონე, მძიმე, მავნე და საშიში. კანონში უნდა განისაზღვროს იმ კომპანიებისა და სფეროების ჩამონათვალი, რომელზეც გავრცელდება კანონი, ასევე გაფართოვდეს ზედმხედველობის ორგანოების უფლებამოსილება და აღსრულების მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა

ო. ლანჩავა, ვ.ჭყონია, კ.ლეკვეიშვილი, შრომის დაცვა, თბილისი 2011წ

ნ. მაჭავარიანი, ნ.ტაბიაშვილი, ლ.ყანჩაველი, მ.ჯიქია, შრომის უსაფრთხოება, თბილის 2010წ

თ.ჟორდანია, ნ.რაზმაძე, დ.თევზაძე, შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე, თბილისი 2014წ

პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებასა და გარემოს დაცვის სფეროში, თბილისი 2015წ

სტატია

დ.გეგენავა, სამართლის ჟურნალი, 2011 წ

პ. ტურავა, სამშენებლო სამართლის ძირითადი ცნებები და ინსტიტუტები, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N2, 2009წ

ლ. შატბერიშვილი, სამართალი და მსოფლიო, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი N9, 2018წ

ანგარიშები

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2015 წლის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2015-2017 წ ანგარიში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2018წ ანგარიში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, 2019წ, ანგარიში

საკანონმდებლო აქტები

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი

საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ კანონი

საქართველოს კანონი სამართალდარღვევათა შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს მთავრობის დადგენილება N477

საქართველოს მთავრობის დადგენილება N370

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირის ატომური ენერგის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ საქართველოს შორის

სასამართლოს გადაწყვეტილებები

თბილისი საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვე სასამართლო გადაწყვეტილების ასლები, რომელიც მომივიდა საქმი ნომრის გარეშე

თბილისი საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება

თბილისი საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება

ელექტრონული წყაროები

www.Wuropean.ge

www.nplg.gov.ge

www.blh.com.ge

www.ilo.org

www.itcraft.ge

www.safetyacademia.com

www.library.court.ge

www.liberali.ge

www.ombudsman.ge

www.ttcld.ge

www.ribaj.com

www.sicher24.ge

www.gibsonis.com